დნართი 2

საბაზო ცოდნის გამოცდების სტანდარტი (გარდა L კატეგორიის მოწმობისა)

1. **ზოგადი დებულებები**

1.1. ყველა საბაზო ცოდნის გამოცდა უნდა განხორციელდეს ტესტური და ესსეს ტიპის კითხვებით ამ დანართის მე-2 პუნქტის შესაბამისად. საგანის არმცოდნისთვის, არასწორი ალტერნატიული პასუხები უნდა ჩანდეს ერთნაირად სარწმუნო. ყველა ალტერნატიული პასუხი აშკარა კავშირში უნდა იყოს კითხვასთან, ანალოგიური ლექსიკით, გრამატიკული წყობით და წინადადების სიგრძით. რიცხვით კითხვებში მცდარი პასუხები უნდა შეესაბამებოდეს არასწორ მოქმედებებს, როგორიცაა არასწორი კორექტირება და ერთეულების გადაყვანა, პასუხები არ უნდა იყოს ცხადად შემთხვევითი რიცხვები.

1.2. თითოეულ ტესტურ კითხვას უნდა ჰქონდეს სამი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი და კანდიდატს ერთ კითხვაზე საშუალოდ უნდა მიეცეს 75 წამი.

1.3. ესსეს ტიპის ყოველი კითხვა საჭიროებს წერილობით პასუხს და კანდიდატს უნდა მიეცეს 20 წუთი თითოეულ ასეთ კითხვაზე.

1.4. შესაბამისი ესსეს ტიპის კითხვები უნდა მომზადდეს და შეფასდეს სასწავლო პროგრამის გამოყენებით, რომელიც მოცემულია I დანართის მოდულებით - 7A, 7B, 9A, 9B და 10.

1.5. თითოეულ ესსეს ტიპის კითხვას უნდა ქონდეს სტანდარტული პასუხი (ნიმუში), რომელიც ასევე მოიცავს ნებისმიერ ცნობილ ალტერნატიულ პასუხებს, რომელიც შეიძლება შესაბამისი იყოს სხვა ქვეჯგუფისთვის.

1.6. სტანდარტული პასუხი უნდა დაიყოს მნიშვნელოვან საკითხებად.

1.7. თითოეულ მოდულზე და ქვემოდულზე ტესტური გამოცდის გამსვლელი ქულა არის 75%.

1.8. ესსეს ტიპის თითოეულ საკითხზე გამსვლელი ქულა შეადგენს 75%-ს, სადაც კანდიდატის პასუხი უნდა მოიცავდეს კითხვაში დასმული საკვანძო საკითხების 75%-ს და არანაირი არსებითი შეცდომა არ უნდა იყოს რომელიმე მოთხოვნილ საკვანძო საკითხთან მიმართებით.

1.9. ტესტური კითხვების ნაწილში ან ესსეს ტიპის კითხვების ნაწილში გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საჭიროა მხოლოდ ამ შესაბამისი ნაწილის ხელმეორედ ჩაბარება.

1.10. კანდიდატის მიერ გამოცდის ჩაბარებისას არ გამოიყენება საჯარიმო ქულების სისტემა.

1.11. მოდულის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, გამოცდის გადაბარება შეიძლება არანაკლებ 90 დღის შემდეგ. გამოცდის გადაბარება შეიძლება 30 დღის შემდეგ, თუ გადამზადებას ახორციელებს სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაცია კონკრეტული მოდულის წარუმატებლად ჩაბარების გათვალისწინებით.

1.12. ამ წესის მე- 7 მუხლით მოთხოვნილი დროის ინტერვალი შეეხება გამოცდის თითოეულ მოდულს, გარდა იმ საგამოცდო მოდულებისა, რომელშიც გამოცდები ჩაბარებულია სხვა კატეგორიის ლიცენზიის ფარგლებში და გაცემულია მოწმობა.
1.13. თითოეულ მოდულში გამოცდის ჩაბარების თანამიმდევრული მცდელობების მაქსიმალური რიცხვია სამი. გამოცდის ჩაბარების შემდეგი სამი მცდელობა დასაშვებია 1-წლიანი ინტერვალით.

კანდიდატმა წერილობით უნდა დაუდასტუროს ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაციას ან სააგენტოს, რომელსაც მიმართავს გამოცდებისთვის, ბოლო წლის განმავლობაში გამოცდის ჩაბარების მცდელობების რაოდენობა, თარიღები და ორგანიზაცია, სადაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მცდელობას. ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაცია ან სააგენტო ვალდებულია შეამოწმოს მცდელობების რაოდენობა შესაბამისი დროის ფარგლებში.

2. კითხვების რაოდენობა თითოეული მოდულისთვის

2.1. მოდული 1 - მათემატიკა

კატეგორია A: 16 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 20 წუთი.
კატეგორია B1: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
კატეგორია B3: 28 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 35 წუთი.

2.2. მოდული 2 - ფიზიკა

კატეგორია A: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.
კატეგორია B1: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B3: 28 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 35 წუთი.

2.3. მოდული 3 - ელექტროობის საფუძვლები

კატეგორია A: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B1: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B3: 24 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 30 წუთი.

2.4. მოდული 4 - ელექტრონიკის საფუძვლები

კატეგორია B1: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 40 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 50 წუთი.
კატეგორია B3: 8 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 10 წუთი.

2.5. მოდული 5 - ციფრული ტექნოლოგიები / ელექტრონულ ინსტრუმენტთა სისტემები

კატეგორია A: 16 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 20 წუთი.
კატეგორია B1.1 და B1.3: 40 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 50 წუთი
კატეგორია B1.2 და B1.4: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი
კატეგორია B2 და B2L: 72 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 90 წუთი.

კატეგორია B3: 16 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 20 წუთი.

2.6. მოდული 6 - მასალები და ნაკეთობები

კატეგორია A: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B1: 72 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 90 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 60 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 75 წუთი.
კატეგორია B3: 60 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 75 წუთი.

2.7. მოდული 7ა - ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები

კატეგორია A: 72 ტესტური კითხვა და 2 ესსე. განკუთვნილი დრო 90 წუთი ტესტისთვის; 40 წუთი ესსესთვის.
კატეგორია B1: 80 ტესტური კითხვა და 2 ესსე . განკუთვნილი დრო 100 წუთი ტესტისთვის; 40 წუთი ესსესთვის..
კატეგორია B2 და B2L: 60 ტესტური კითხვა და 2 ესსე. განკუთვნილი დრო 75 წუთი ტესტისთვის; 40 წუთი ესსესთვის.
მოდული 7ბ - ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები

კატეგორია B3: 60 ტესტური კითხვა და 2 ესსე. განკუთვნილი დრო 75 წუთი ტესტისთვის; 40 წუთი ესსესთვის

2.8. მოდული 8 - აეროდინამიკის საფუძვლები

კატეგორია A: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B1: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B2 და B2L: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B3: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.

2.9. მოდული 9ა - ადამიანური ფაქტორი

კატეგორია A: 20 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 25 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.
კატეგორია B1: 20 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 25 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.
კატეგორია B2 და B2L: 20 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 25 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.

მოდული 9ბ - ადამიანური ფაქტორი

კატეგორია B3: 16 ტესტური კითხვა და 2 ესსე. განკუთვნილი დრო 20 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის

2.10. მოდული 10 - საავიაციო კანონმდებლობა

კატეგორია A: 32 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 40 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.
კატეგორია B1: 40 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 50 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.

კატეგორია B2 და B2L: 40 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 50 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის.
კატეგორია B3: 32 ტესტური კითხვა და 1 ესსე. განკუთვნილი დრო 40 წუთი ტესტისთვის; 20 წუთი ესსესთვის

2.11. მოდული 11ა - აირტურბინულ ძრავიანი საჰაერო ხომალდის აეროდინამიკა, კონსტრუქცია და სისტემები

კატეგორია A: 108 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 135 წუთი.
კატეგორია B1: 140 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 75 წუთი.

მოდული 11ბ - დგუშიანი ძრავიანი საჰაერო ხომალდის აეროდინამიკა, სტრუქტურა და სისტემები

კატეგორია A: 72 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 90 წუთი.
კატეგორია B1: 100 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 125 წუთი.

მოდული 11გ - დგუშიანი ძრავიანი საჰაერო ხომალდის აეროდინამიკა, სტრუქტურა და სისტემები

კატეგორია B3: 60 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 75 წუთი.

2.12. მოდული 12 - შვეულმფრენის აეროდინამიკა, კონსტრუქცია და სისტემები

კატეგორია A: 100 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 125 წუთი.
კატეგორია B1: 128 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 160 წუთი.

2.13. მოდული 13 - საჰაერო ხომალდის აეროდინამიკა, კონსტრუქცია და სისტემები

კატეგორია B2: 180 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 225 წუთი. კითხვები და განკუთვნილი დრო შეიძლება გაიყოს 2 გამოცდად საჭიროებისამებრ.

კატეგორია B2L:

სისტემის ოსტატობა	ტესტური კითხვების რაოდენობა	განკუთვნილი დრო (წუთი)
ძირითადი მოთხოვნები (ქვემუდელები: s13.1, 13.2, 13.5 და 13.9)	28	35
კავშირგაბმულობა / ნავიგაცია (ქვემოდული 13.4(a))	24	30
ხელსაწყოები (ქვემოდული 13.8)	20	25
ავტომატურ რეჟიმში ფრენა (ქვემოდული 13.3(a) and 13.7)	28	35
რადიოლოკაციის (ქვემოდული13.4(b))	8	10

ს.ხ ფუნქციური სისტემები (ქვემოდული13.11 to 13.18)	32	40

2.14. მოდული 14 - ძალური დანადგარი

კატეგორია B2 და B2L : 24 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 30 წუთი.
შენიშვნა: გამოცდა კატეგორია B2L-სთვის ტარდება მხოლოდ სისტემის ოსტატობისთვის: ხელსაწყოები და ს.ხ ფუნქციური სისტემები.

2.15. მოდული 15 - აირტურბუინული ძრავა

კატეგორია A: 60 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 75 წუთი.
კატეგორია B1: 92 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 115 წუთი.

2.16. მოდული 16 - დგუშიანი ძრავა

კატეგორია A: 52 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 65 წუთი.
კატეგორია B1: 72 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 90 წუთი.
კატეგორია B3: 68 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 85 წუთი.

2.17. მოდული 17 - საჰაერო ხრახნი

კატეგორია A: 20 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 25 წუთი.
კატეგორია B1: 32 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 40 წუთი.

მოდული 17ბ - პროპელერი
კატეგორია B3: 28 ტესტური კითხვა. განკუთვნილი დრო 35 წუთი.